საქართველოს მთავრობის განკარგულება

№767 2015 წლის 8 აპრილი ქ. თბილისი

საიუბილეო მედლის „ფაშიზმზე გამარჯვების 70 წელი“ დამტკიცების შესახებ

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების დამსახურებისა და ფაშიზმზე გამარჯვების 70-ე წლისთავის აღსანიშნავად დამტკიცდეს საიუბილეო მედალი „ფაშიზმზე გამარჯვების 70 წელი“ და მისი აღწერილობა დანართის მიხედვით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დანართი

საიუბილეო მედალი ,,ფაშიზმზე გამარჯვების 70 წელი"
და მისი აღწერილობა

1. საიუბილეო მედლით ,,ფაშიზმზე გამარჯვების 70 წელი" ჯილდოვდებიან სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ვეტერანთა აღრიცხვის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები.

2. დაჯილდოვებული საიუბილეო მედალს ატარებს მკერდზე მარცხენა მხარეს.

3. მედლის აღწერილობა:

ავერსი:

ა) საიუბილეო მედალი „ფაშიზმზე გამარჯვების 70 წელი" წარმოადგენს მრგვალი ფორმის, ოქროსფერ ლითონის მედალიონს; კომპოზიციაზე გამოსახულია მუხის გვირგვინი, ცენტრში ამოტვიფრულია საიუბილეო თარიღი: „1945 - 2015"; მუხის გვირგვინის ზემოთ გამოსახულია შვიდქიმიანი ვარსკვლავი;

ბ) მედალიონი უკავშირდება ბაფთას ქართული "ვაზის წნულის" ორნამენტით, რომელზედაც გამოსახულია ქართული მუზარადი; ბაფთა ლივლივა თეთრი ფერისაა, ცენტრში ფართო წითელი არშიით და ოთხი წითელი ჯვრით საქართველოს დროშის გამოსახულებით.

რევერსი:

ა) ამოტვიფრულია წარწერა: „ფაშიზმზე გამარჯვების 70 წელი;

ბ) მედალიონი უკავშირდება ბაფთას ქართული "ვაზის წნულის" ორნამენტით, ბაფთა ლივლივა თეთრი ფერისაა, ცენტრში ფართო წითელი არშიით და ორი წითელი ჯვრით.

ᲐᲕᲔᲠᲡᲘ ᲠᲔᲕᲔᲠᲡᲘ

4. საიუბილეო მედლის „ფაშიზმზე გამარჯვების 70 წელი“ პარამეტრები:

მრგვალი ფორმის მედალიონი, დიამეტრი 37 მმ. თითბერი, ოქროსფერი შეფერილობის, სისქე 3 მმ.

ბაფთის ზომა: სიგრძე 40 მმ, სიგანე 34 მმ



ავერსი **რევერსი**

მასშტაბი 1:1